

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №86

2011 წლის 16 თებერვალი

ქ. თბილისი

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. საქართველოში სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედებისა და საგრანტო დაფინანსების გზით, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 5¹ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს:

1. მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ თანდართული დებულება №1 დანართის შესაბამისად.

2. საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები №2 დანართის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის დადგენილება №251 - ვებგვერდი, 04.06.2015წ.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ნ. გილაური

დანართი №1

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) მიზანია, შეარჩიოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრს უკრაინაში (მტცუ) შორის შეთანხმებული პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებიდან.

2. ეს დებულება აწესრიგებს გრანტის მისაღებად კონკურსის გამართვის, გრანტის გაცემისა და საგრანტო პროექტების (შემდგომში – პროექტი) შესრულების მონიტორინგის წესს.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 23 იანვრის დადგენილება №23 – ვებგვერდი, 26.01.2018წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

დადგენილებაში გამოყენებულ ტერმინებს ამ დადგენილების მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ფონდი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

ბ) **ფონდის გენერალური დირექტორი** - ფონდის მართვის ორგანო, რომლის ფუნქციებში შედის დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება;

გ) **მტცუ** – მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი უკრაინაში, რომელთანაც საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა (უფლებამონაცვლე: სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი) 2006 წლის 31 ოქტომბერს გააფორმა „საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პრიორიტეტული სფეროების ერთობლივი ვალდებულების“ განაცხადი თანამშრომლობის შესახებ;

დ) **პროექტის ხელმძღვანელი (მენეჯერი)** – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ასევე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე. იგი ასევე პასუხისმგებელია, უზრუნველყოს საგრანტო პროექტის ეფექტური მართვა და ადმინისტრირება;

ე) **ძირითადი პერსონალი** – გრანტის მიმღები ფიზიკური პირ(ებ)ი, რომელიც ასრულებს პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს მაგისტრანტი, დოქტორანტი, მაგისტრის ან დოქტორის, ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

ვ) **დამხმარე პერსონალი** – ძირითადი პერსონალის გარდა, პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი,



რომელიც ეხმარება ძირითად პერსონალს წამოჭრილი ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში;

ზ) წამყვანი ორგანიზაცია – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ფინანსურ ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას, უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას პროექტის დამხმარე პერსონალთან და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს;

თ) თანამონაწილე ორგანიზაცია – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამონაწილე ორგანიზაცია წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ფინანსურ ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმების და წესის შესაბამისად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს;

ი) საკონკურსო დოკუმენტაცია – ამ დებულებითა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტების ერთობლიობა, რომელთა წარდგენა აუცილებელია კონკურსში მონაწილეობისათვის;

კ) საგრანტო ანგარიში – საგრანტო ხელშეკრულებაში განსაზღვრული წამყვანი ან/და თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ პროექტის სახსრებისთვის გახსნილი მიზნობრივი, მიმდინარე საბანკო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა;

ლ) პროექტის ბიუჯეტი – პროექტის განხორციელებისთვის საჭირო საგრანტო დაფინანსების საერთო ოდენობა, რომელიც შედგება შემდეგი ხარჯვითი კატეგორიებისაგან: პროექტის ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება, დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება, მივლინება, საქონელი და მომსახურება, კაპიტალური ხარჯი, ზედნადები ხარჯი. ბიუჯეტი შედგება ფონდისა და მტკუ-ს მიერ გამოყოფილი თანაბარი თანადაფინანსებისაგან (50%-50%);

მ) ტრანში – პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული, კონკრეტული საანგარიშო პერიოდისთვის გადასარიცხი/გადარიცხული სახსრები;

ნ) საანგარიშო პერიოდი – პროექტის განხორციელების 6-თვიანი მონაკვეთები, რომელთა მიხედვით გაწერილია პროექტის ამოცანები და ტრანშები;

ო) დამოუკიდებელი ექსპერტი (შემდგომში – ექსპერტი) – ფიზიკური პირი, რომელიც აფასებს კონკურსის ფარგლებში წარდგენილ პროექტს;

პ) ახალგაზრდა მკვლევარი – ფიზიკური პირი, ძირითადი პერსონალიდან, რომელსაც მინიჭებული აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წლისა, ასევე დოქტორანტი, მაგისტრი და მაგისტრანტი (35 წლის ჩათვლით).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის დადგენილება №251 - ვებგვერდი, 04.06.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 მაისის დადგენილება №223 - ვებგვერდი, 20.05.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 23 იანვრის დადგენილება №23 – ვებგვერდი, 26.01.2018წ.

მუხლი 3. გრანტის გაცემის უზრუნველყოფა

1. პროექტის ბიუჯეტის 50%-ის დაფინანსებას უზრუნველყოფს ფონდი.
2. ფონდი უზრუნველყოფს:
 - ა) მტკუ-სთან შეთანხმებით კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - ბ) მტკუ-სთან შეთანხმებით კონკურსის გამართვის წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;
 - გ) პროექტების შეფასებას პირველ ეტაპზე დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით და მტკუ-სთან წინასწარ შეთანხმებული რაოდენობის საუკეთესო შეფასების მქონე პროექტების გადაგზავნას მტკუ-ში საბოლოო შერჩევისთვის;
 - დ) შერჩევის საბოლოო შედეგებზე დაყრდნობით პროექტების დამტკიცებას დასაფინანსებლად;
 - ე) გამარჯვებული პროექტების დაფინანსებას და მათი შესრულების მონიტორინგს დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. სუბიექტები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:



ა) წამყვანი ან/და თანამონაწილე ორგანიზაციის სახით – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომელთა წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს;

ბ) ძირითადი პერსონალის სახით – მაგისტრანტს, დოქტორანტს, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეს.

2. პროექტის მონაწილეთა შორის უნდა იყვნენ მეცნიერები, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაში. ასეთი მეცნიერების მინიმალურ პროცენტულ ოდენობას განსაზღვრავს ფონდის გენერალური დირექტორი, მტკუ-სთან შეთანხმებით.

3. საპროექტო განაცხადის მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მასში, სულ ცოტა, ერთი კოლაბორატორის მონაწილეობა მტკუ-ს დამფინანსებელი მხარეებიდან: აშშ, კანადა, ევროკავშირის ქვეყნები.

4. პროექტში აუცილებელია წამყვანი ორგანიზაციის მონაწილეობა.

მუხლი 5. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის მინიმალური ხანგრძლივობა უნდა იყოს 12 თვე, ხოლო მაქსიმალური – 24 თვე. პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 6-თვიანი საანგარიშო პერიოდის ჯერადი (12, 18, 24).

2. პროექტის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 35 000 დოლარის ეკვივალენტ ლარს.

3. ძირითადი პერსონალის ყოველთვიური საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის ყოველთვიური ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს 1250 ლარს.

4. პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება პერიოდული ტრანშების სახით.

5. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

მუხლი 6. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება

1. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებას;

ბ) დამხმარე პერსონალის ხელფასს;

გ) მივლინებას;

დ) საქონელსა და მომსახურებას;

ე) ძირითად აქტივებს;

ვ) ზედნადებ ხარჯებს.

2. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხარჯვითი კატეგორიების შინაარსი განისაზღვროს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 19 სექტემბრის დადგენილება №397 - ვებგვერდი, 20.09.2012წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 მაისის დადგენილება №223 - ვებგვერდი, 20.05.2016წ.

მუხლი 7. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) აპლიკანტების მიერ მომზადებული საპროექტო წინადადებების მოკლე ვერსიის რეგისტრაცია, პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

გ) პროექტების მოკლე ვერსიის შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით;

დ) დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, საუკეთესო ქულების მქონე პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცება და მტკუ-ში გადაგზავნა;

ე) მტკუ-ის მმართველთა საბჭოს მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ;

ვ) ფონდის მიერ საქართველოს სახელით მტკუ-ში წარსადგენად მომზადებულ პროექტებზე თანხმობის გაცემა;

ზ) დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან, წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის დადგენილება №251 - ვებგვერდი, 04.06.2015წ.

მუხლი 8. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა



1. ფონდში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა უნდა მოხდეს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესითა და ვადების დაცვით. დადგენილი ბოლო ვადის გასვლის შემდეგ საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.

2. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 9. პროექტის შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები შესაფასებლად გადაეცემა, სულ ცოტა, 2 ექსპერტს. შეფასებისა და საბოლოო ქულის დაანგარიშების წესი დგინდება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. პროექტის შეფასება ხორციელდება ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

3. ექსპერტების შეფასების საფუძველზე დგინდება პროექტების რანჟირებული ნუსხა, რომელსაც ამტკიცებს ფონდის გენერალური დირექტორი.

4. დამტკიცებული ნუსხა გადაიგზავნება მტკც-ში.

5. მტკც-ის მმართველთა საბჭოს მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებს ამტკიცებს ფონდის გენერალური დირექტორი.

6. ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

7. ძირითადი პერსონალის/წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში თავისი პროექტის მოკლე ვარიანტის საექსპერტო შეფასების აღნიშნული პირებისთვის გაცნობას უზრუნველყოფს ფონდი.

8. ფონდი უფლებამოსილია პროექტის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, ასევე პროექტის დასრულებიდან 3 წლის მანძილზე, პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიში, დოკუმენტაცია და პროექტის შედეგები დაუქვემდებაროს დამოუკიდებელ სამეცნიერო ექსპერტიზას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის დადგენილება №251 - ვებგვერდი, 04.06.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 მაისის დადგენილება №223 - ვებგვერდი, 20.05.2016წ.

მუხლი 10. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია ექსპერტი იყოს ამავე კონკურსის მონაწილე პირი.

2. არ შეიძლება პროექტის შეფასების პროცესში მონაწილეობდეს ექსპერტი პირი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია ძირითად პერსონალთან ან მონაწილეობდა მასთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში;

ბ) რომელმაც შესაძლოა მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. ექსპერტი ვალდებულია, ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია, ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის დადგენილება №251 - ვებგვერდი, 04.06.2015წ.

მუხლი 11. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ, ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან და წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან.

2. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციები ფონდს წარუდგენენ წერილობით დადასტურებას იმის შესახებ, რომ მათ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ გააჩნიათ.

3. გრანტის მიმღების მიერ შექმნილი გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნის ფონდს და გრანტის მიმღებს. შესაბამისად, ფონდს წარმოეშობა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები. პატენტიდან გამომდინარე, განსაკუთრებული უფლებების გამოყენებიდან მიღებული შემოსავლის



პროცენტულობა განისაზღვრება ფონდსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

4. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღების მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, არა უგვიანეს 20 დღით ადრე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება. საანგარიშო წლის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები დასაშვებია პროექტის მიმდინარე წლის ფონდიდან მოთხოვნილი ბიუჯეტის 5%-ის ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის დადგენილება №251 - ვებგვერდი, 04.06.2015წ.

მუხლი 12. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

3. პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას ფონდი ეყრდნობა მტკუ-ს მიერ მოწოდებულ წერილობით შეფასებას პროექტის პროგრამული ანგარიშის შესახებ.

4. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:
- ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;
 - ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დაბრუნებას;
 - გ) გადახარჯვად ჩაითვლება – საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით, იმ შემთხვევაში, თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა აღემატება ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებულ რესურსს; გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს;
 - დ) ნაშთად ჩაითვლება – საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა გაიხარჯოს მომდევნო კვარტალებში.

5. პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში პროექტის ფარგლებში შემენილი ქონება საკუთრებაში გადაეცემა ფონდს.

7. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 23 იანვრის დადგენილება №23 – ვებგვერდი, 26.01.2018წ.

დანართი №2

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 მაისის დადგენილება №223 - ვებგვერდი, 20.05.2016წ.

საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. პროექტების შეფასებას ექსპერტები ახორციელებენ შემდეგი კრიტერიუმებით:

კრიტერიუმები და განმარტებები	ცუდი	სუსტი	საშუალო	კარგი	ძალიანკარგი	საუკეთესო	შეფასება და კომენტარი
	0	1	2	3	4	5	მინიმუმ 0 მაქსიმუმ 5 ქულა
1 - სამეცნიერო დასაბუთება (წარმოდგენილი კვლევის სიახლე, სამეცნიერო ღირებულება, პროექტის სიცხადე, მითითებული ლიტერატურის ადეკვატურობა, ციტირება და ა.შ.)							
2 - მეთოდოლოგია (მეთოდოლოგიის							



დასაბუთება: ორიგინალობა და მიზანშეწონილობა)							
3 - მოსალოდნელი სამეცნიერო შედეგები (დასახული მიზნების მიღწევადობა, მიღებული შედეგების გამოყენებადობა არსებული ან ახალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის)							
4 - პროექტში ჩართული ადამიანური რესურსების (პროექტის ხელმძღვანელის (მენეჯერის), ახალგაზრდა მკვლევარის და ძირითადი პერსონალის) კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და გამოცდილების შესაბამისობა პროექტთან							
5 - განხორციელებადობა და გამოყენება (არსებული ინსტიტუციური ტექნიკური შესაძლებლობებისა და რესურსების, აგრეთვე მოთხოვნილი მატერიალური და ფინანსური რესურსების, განხორციელების გრაფიკის შესაბამისობა მიზნების განხორციელებასთან)							
6 - მდგრადობა (შემდგომი სამეცნიერო განვითარების ან კომერციალიზაციის შესაძლებლობა)							
7 - პროექტის უცხოელი კოლაბორატორის კომპეტენციისა და გამოცდილების შესაბამისობა კვლევით პროექტთან							
ქულების ჯამი:							მაქსიმუმ 35 ქულა
შემაჯამებელი კომენტარები:							
1 - სამეცნიერო ღირებულების შესახებ:							
2 - რამდენად შესაძლებელია შემოთავაზებული განრიგით და ადამიანური რესურსებით დასახული მიზნების მიღწევა:							

2. თითოეული ქვეკრიტერიუმი ფასდება 6-ქულიანი სისტემით. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 35 ქულა.

3. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 25 ან მეტი ქულა.

4. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს პირველ კრიტერიუმში, შემდეგ კი მეოთხე და მეხუთე კრიტერიუმებში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.

ქულა	შეფასება	განმარტება
0	ცუდი	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
1	სუსტი	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, შეინიშნება სერიოზული არსებითი სუსტი მხარეები.
2	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები, სუსტად დასაბუთებული და არაადაპტაციური დამატებითი ხარისხისაა.
3	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთებულია დამატებითი ხარისხით, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება
4	მაღიან კარგი	პროექტი მაღიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. იკვეთება ორიგინალობა და უპირატესობა, მაგრამ შესაძლებელია გარკვეული დახვეწა.
5	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო ხარისხის მქონე პროექტია, რომელიც წარმატებით პასუხობს ყველა კრიტერიუმს. ნებისმიერი ხარვეზი არის არსებითად უმნიშვნელო.



